№ 17 იანვარი 24, შაბათი 1887 იანვარი 24, შაბათი № 17

გაზეთი ღირს

თვე	მან.	კ.	თვე	მან.	კ.
12	10	—	6	6	—
11	9	50	5	5	50
10	8	75	4	4	75
9	8	—	3	3	50
8	7	25	2	2	75
7	6	50	1	1	50

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, ახალ-ბებუთოვის ქუჩაზედ, სახლი № 9, ბ. ხიდდეკელის საგაზეთოს, გოლოვინის პროსპექტი, ცენტრალურსა და გრიქუროვის წიგნების მაღაზიებს.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპ.

1877—1887 წელიწადი საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1887 წელიწადი

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

ივერია

გამოვა 1887 წელსაც იმავე პროგრამითა, როგორც აქამდე.

ვისაც ჰსურს დაიკვეთოს გაზეთი ამ 1887 წლისთვისაც მიჰმართოს:

ტფილისში: ა) თვითონ რედაქციას, (ახალ-ბებუთოვის ქუჩა, სახლი ზუბალოვისა, № 9) ბ) ლ. ბ. ხიდდეკელის გაზეთის სააგენტოს (გოლოვინის პროსპექტი, გიმნაზიის პირ-და-პირ).

ქუთაისში: ვარლამ ჭილაძის წიგნის მაღაზიას.

ხონში: ნესტორ წერეთლის წიგნის მაღაზიას.

ბათუმში: მ. ჩათაძეს.

ტფილისის გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ“

გაზეთის ფასი დაბეჭდილია გაზეთის სათაურშივე, ხოლო სრული პირობანი გაზეთის დაკვეთისა გამოცხადებულია უკანასკნელს გვერდზედ.

ქართული თეატრი

კვირას, 25 იანვარს,

ბანკის (არწრუნისეულ) თეატრში ქართულის დრამატიულის საზოგადოების დასისაგან წარმოდგენილი იქნება:

I

ეხლანდელი სიყვარული

კომედია 4 მოქმედებად

II

სუსტი მხარე

ვოდევილი 1 მოქმედებად

მოთამაშენნი: ქქ. საფ-აბაშიძისა, ლეონიძისა, ბბ. აბაშიძე, ალექსიევ-მესხიევი, აწყურელი, მაქსიმიძე; და სხვ.

დასაწყისი 7½ საათზე.

ტფილისი, 23 იანვარი

ბოლგარიის საქმემ დღეს თავისი პირველ-ხარისხოვნება დაჰკარგა ევროპიის პოლიტიკის სარბიელზედ. მის მაგიერ ფეხზედ წამოდგა, საზარო ლანდსა და აჩრდილსავით, საფრანგეთისა და გერმანიის ერთმანეთთან გამკლავების მოლოდინი. დღეს მთელი ჟურნალ-გაზეთობა ამაზეა მოცლილი, დიდი და პატარა სულ ამაზედ ჰლაპარაკობს და ჰთრთის ხვალინდელის დღისათვის. გერმანიის გაზეთებს რომ დაუჯეროს კაცმა, თავი და თავი მიზეზი ამ საშინელის ამრეზილობისა, რომელიცა ჰსუფევს საფრანგეთისა და გერმანიის შუა, საფრანგეთის სამხედრო მინისტრი გენერალი ბულანჟეა და ამისი დაუცხრომელი გარჯა და შრომა საფრანგეთის ჯარის განკარგებისა და რიგიან ფეხზედ დაყენებისათვის. ზოგიერთი გაზეთი ამ გარემოებას ისე აზვიადებს, რომ ამბობს: საფრანგეთმა ან ბულანჟე უნდა დაითხოვოს სამსახურიდამ ან ომი გამოუცხადოს გერმანიასაო, სხვა არა სახსარი არ არის, რომ ევროპა დასცხრეს და დაწყნარდესო. ჩვენ დღეს ამაზედ ლაპარაკს თავს დავანებებთ და ყურადღებას მკითხველისას მივაქცევთ სულ სხვა გარემოებაზედ, რომელიც მრავალ-მნიშვნელობიანია და ძალიანაც ანგარიშში მისაღები.

ჩვენ გუშინაცა ვსთქვით, რომ დიდთა მაყურებელნი წვრილნი სახელმწიფონიცა დიდს მზადებაში არიან. უფრო შენიშნულია, რომ ბელგია, დანია და შვეცია-ნორვეგია, რაც ძალი და ღონე შესწევთ, ჰცდილობენ თავისი ჯარები გააწყონ და გააძლიერონ. განზრახვა ბელგიისა თუმცა ზედ მიწევნით არავინ იცის, მაგრამ თვალად ეს მაინცა სჩანს, რომ თუ ვინიცობაა ორს მათს მეზობელს საფრანგეთს და გერმანიას ომი აუტყდათ, ბელგიას არ უნდა გადელახვინოს. სიტყვით ამას ამბობს ბელგიის მთავრობა და გულში რა აქვს, ძნელი გამოსაცნობია. პატარა დანია თავის გულის-ნადებს არა ჰმალავს და პირ-და-პირ გულ-ახდილად ჰლაპარაკობს. მისმა სამხედრო მინისტრმა გენერალმა ბ.ნსონმა არც გახია, არც გაფხრიწა და მოურიდებლად სთქვა: ჩვენის ქვეყნის ერთი ნაწილი, ერთი ნაწილი ჩვენის სისხლისა და ხორცის ერისა პრუსიის უღელ ქვეშ ჰკვნესისო. აშკარაა, დანიის მზადება რას მოასწავებს და საკვირველი ეს არის, რომ უღონო, პაწია დანია არ ჰშიშობს ამის თქმასა და არ უფრთხის წყრომას ძლიერის პრუსიისას. გერმანიის გაზეთები ამ ხმებზედ სწორედ ყალხზედ შესდგნენ: როგორ თუ დანია გერმანიას მტრობას უბედავსო. რა თქმა უნდა, დანია მარტოკა შინიდამ ფეხსაც ვერ გამოსდგამს ყოვლად ძლიერის გერმანიის წინაამდეგ. სჩანს დანიას იმისი იმედი აქვს, რომ თუ ვინიცობაა საფრანგეთი გერმანიას საქმეს გაუჭირებს, მაშინ დანიაც ეცდება ჯავრი იყაროს გერმანიაზედ და წართმეული გერმანიისაგან შლეზვიგ-გოლშტეინი როგორმე ისევ ხელთ იგდოს და დაიბრუნოს. რაც უნდა იყოს, თუმცა დანია ცალკედ საშიშარი არ არის გერმანიისათვის, მაგრამ თუ გერმანია და საფრანგეთი ერთმანეთს დაეჯახნენ, გერმანიამ ერთი 40,000 კაცი მაინც უნდა მოაცდინოს დანიის გასაძღოლად. ეს გერმანიისათვის დიდს ანგარიშს შეადგენს დიდის ომის დროს. ერთის სიტყვით, დანიასაც მიზეზი აქვს მზადებისა და თოფ-იარაღის ასხმისა. ამოცანად მარტო შვეცია-ნორვეგიაა. ეს დიდის ხნიდამ მშვიდობიანად მყოფი ქვეყანაღა რამ აამღვრია და რამ აიძულა საომრად მზადებისათვის? ჯერ შარშანვე, ვიდრე ბოლგარიის საქმე გამწვავდებოდა, შვეცია მზადებას შეუდგა და დღესაც იმავე საქმეზეა გადაგებული ეს ამბავი, რასაკვირველია, შეუტყობრად არ დარჩა ევროპასა. ხოლო ქვეყანას უკვირს, რომ შვეციის მეფემ ოსკარმა ეხლა-ხან პარლამენტში თავისი სეფე-სიტყვა წარმოსთქვა და სრულებით ხმა არ ამოიღო არც იმაზედ თუ, —რას მოასწავებს ეგ დაუცხრომელი მზადება, არც იმაზედ თუ—რა გულით, რა გუნებით არის შვეცია-ნორვეგია საგარეო პოლიტიკისა გამო. ამ ხმაამოუღებლობამ, ამ გარუმებამ უფრო ძლიერ ააცქვეტინა ყურები დიპლომატიასა. რადა და რისთვისაო? ჰკითხულობს ცნობის მოყვარე გულ სწრაფობა ადამიანისა. მათა და მისთვისაო, იძახის მეტიჩრობა გულთ მისნობისა... ეს ამისთანა პასუხი, თუ გნებავთ არც არაფერსა ჰნიშნავს და, თუ გნებავთ, ბევრს რასმესაცა.

ახალი ამბავი

⁂ ბენეფისი არტისტი-ქალის საფაროვა-აბაშიძისა გადაუდვიათ ოთხშაბათისათვის. წარმოადგენენ იმავე პიესებს, რომელიც ჩვენ გვქონდა ამას წინად მოხსენებული, ესე იგი აკაკის ლექსად დაწერილს დრამას «თამარ-ცბიერი» და ოპერეტკას „მეჯლიში იტალიელებით“.

⁂ ერთს ყმაწვილს კაცს ხელი მიუყვია მოკლე ფრანგულ-ქართულის ლექსიკონის შედგენისათვის. ამ ლექსიკონის დანიშნულება ის იქნება, რომ ხელი მოუმართოს იმას, ვისაც თავისით ფრანგულის ენის შესწავლა უნდა. დღემდე ამ გვარი ლექსიკონი სრულიად არ მოიპოვება ჩვენს ბედობაზე. ვისაც ფრანგულისა, ან სხვა უცხო ენის სწავლა ჰსურს, იძულებულია სხვა ენებზე შედგენილს ლექსიკონს მიჰმართოს და უცხო ენას უცხო ენისავე შემწეობითა სწავლობდეს.

კარგი იქმნებოდა, რომ ქართვე-

ფელეტონი

მუქთი ბილეთები

(ნორვეგიული ამბავი)

მე მეტის-მეტად თავი მომწონდა და მიზეზიცა მქონდა ამ თავ-მოწონებისა. თეატრში ჩემს პიესას თამაშობდნენ ხოლმე და ძალიანაც მოსწონდა საზოგადოებას, და ამასთან თანამშრომელი ვიყავი ერთის დიდის ჟურნალისა. ჩვენს ქალაქში სამი თეატრია და რადგანაც მე სათეატრო პიესებსა ვწერდი, სამისავე თეატრის ორ-ორი მუქთი ბილეთი მქონდა. წარმოიდგინეთ, ექვსი ბილეთი ყოველ საღამოს! ხუმრობაა! მახსოვს, როდესაც ჯერ ისევ სასწავლებელში ვიყავი,—რა შურით ვუცქეროდი „ქანდარიდგან“ იმ ბედნიერებს, რომელნიც სელებზე და სკამებზე გამოჭიმულები იყვნენ ხოლმე, და ეხლა-კი თვითონ მე ვიყავ ასეთი ბედნიერი და ვინ იცის მეც შურით-მიცქეროდნენ სხვები. კარგი და სასიამოვნო კიდევ ის იყო, რომ ამას იქით თეატრში ბაიყუშივით მარტო არ ვიდოდი და შემეძლო რომელიმე ამხანაგი, ან «გულის სანდომი» წამეყვანა თანა. რადგან ერთს კაცს არ შეუძლიან სამად გაიჭრას და სამად განაწილდეს, ამიტომ როდესაც ერთ-ერთს თეატრში წავიდოდი ხოლმე ერთს საღამოს, მეორე ორს თეატრში ჩემს ნაცნობებსა ვგზავნიდი. ამ გვარად, ყოველ საღამოს შემეძლო ოთხი-ხუთი კაცი გამებედნიერებინა!

ხშირად წამავლებდნენ ხოლმე ხელს ის ყმაწვილი-კაცები, რომელნიც-კი როდისმე სადმე მენახა და რომელთანაც გამარჯობა-გაგიმარჯოს მეტი არა ვიცოდი-რა,—შემიყვანდნენ ყავახანაში და მპატიჟობდნენ, რომ როგორმე ლაპარაკის დროს მუქთ ბილეთებზე გავეკრათ სიტყვა და ეთხოვნათ. ამათის შიშით ქუჩაში ველარ გამევლო. ხანს გადასული ქალები, რომელნიც თავის ხელ საქმითა სცხოვრებდნენ, ყოველ ახალ-წელიწადს სხვა-და-სხვა თავის ხელით გაკეთებულს საჩუქრებს მომართმევდნენ ხოლმე და თან ბილეთებზედაც ჩამომიგდებდნენ ლაპარაკს. ახალ-გაზდა ქალები ისე ტკბილად შემომცქეროდნენ ხოლმე, რომ, ეხლაც რომ მაგონდება, სიამოვნების ჟრუანტელი დამივლის ხოლმე და ყველა ეს იმიტომ, რომ მუქთი ბილეთები მქონდა, ერთად-ერთი მიზეზი ეს მუქთი ბილეთები იყო.

მე ყველას ცხვირ-აწეული ვექცეოდი, ვცდილობდი თავი ამეცილებინა ხშირის პატიჟისა და პატივის-ცემისათვის. ყველაზედ მეტად თავი მომაბეზრა ერთმა ინგლისელმა ქალმა. ეს ქალბატონი თითქმის ყოველ-დღე მიგზავნიდა სხვა-და-სხვა ჭურჭლეულს,—თეფშებს, მათლაბებს, ფინჯნებს, სტაქნებს და ათას სხვა ამ გვარ ჭურჭელს. ერთხელ შინ არ ვიყავი, მოეტანა და ჩემს სტოლზედ ორი მეტის-მეტად უშნო და ულაზათო ბადია დაედგა. ეჭვში შევველ, ვიფიქრე, ამ ქალბატონს ის ხომ არა ჰგონია, რომ მეჭურჭლეობას ვაპირებ და იმიტომ ხომ არ მიზიდავს ამდენს ჭურჭლეულსა-მეთქი. ბოლოს კი გავიგე, რა მიზეზიც იყო. ეს ინგლისელი ქალი ერთის მეჭურჭლის ქალს ასწავლიდა: მეჭურჭლე სწავლის ფულს თურმე ჭურჭლით უხდიდა ხოლმე და ისიც მე მიგზავნიდა ბილეთების საფასურში.

⁂

ყველაზედ მეტი უსიამოვნება ჩემმა სახლის პატრონმა დედა-კაცმა შემამთხვია. ერთხელ მეექვსე რიგის ბილეთი შეხვდა და ეს ამბავი ძალიან იწყინა და ითაკილა. იმ დღიდგან მოკიდებული ცივს ჩაის მასმევდა და საუზმეზედაც თბილს ლუდს შემომიტანდა ხოლმე. ჩემს სუფრას მოაკლდა მოხრაკული დედლები და გემრიელი საჭმელები, რომლითაც ისე ხშირად მანებივრებდა ხოლმე.

ბოლოს გამომიცხადა, გთხოვ სახლი დამიცალო, სხვა მდგმური უნდა ვიშოვნო, რადგან დაჩვეული არა ვარ, რომ ჩემი მდგმურები უმართებულოდ მექცეოდნენ და პატივს არა მცემდნენ ხოლმეო. ბევრი ვეჩიჩინე და მინდოდა დამერწმუნებინა, რომ მეექვსე რიგში ჯდომა უმართებულობა და უკადრისობა არ არის-მეთქი, მაგრამ თქვენც არ მომიკვდეთ, ყურიც არ გაიბერტყა. სულ იმას გაიძახოდა, რომ მე ვერ ავიტან, რომ უკადრისად მომექცეს ვინმე, როგორც სახლის-პატრონს, სხვებზედ უპირატესობა უნდა მქონდესო; მე მეექვსე რიგში ვიჯექი და ინგლისელი ქალი კი მესამეშიო და ვერც ერთი კეთილშობილი ქალი ვერ აიტანს ამასაო.

მეტი გზა არ იყო, სხვა სახლი უნდა მეშოვნა და გადავსულიყავ. გაზეთებში გამოვაცხადე, რომ სახლს ვეძებ-მეთქი და იმავ დღესვე წერილი მივიღე ერთის მეტად პატივცემულის ოჯახისაგან და თანახმანი იყვნენ, რომ თავიანთ ჭერ-ქვეშ ბინა მოეცათ ჩემთვის. მე მაშინვე ძებნა დავუწყე ამ პატივცემულს ოჯახს, ბევრს კარებს მივადექი, ბევრი კიბეები მოვირბინე, ბევრის ოჯახის შინაური ამბავი შევიტყე და ბოლოს ერთს ქვრივს ადამიანს შევეკედლე, რომელსაც გასათხოვარი ქალიცა ჰყავდა.

მართლაც, ამ ქვრივის სახლი კოხტა და კარგად მოწყობილი იყო, ოთახებში ბლომად ელაგა ყვავილები და ხალებით იყო მოფენილი. როდესაც იმისას შევედი, თვითონ სახლის პატრონი ფორტეპიანოს მოსჯდომოდა და შოპენის ვალსს უკრავდა და სიამოვნებდა; ქალი-კი, შავ-თვალებიანი და ეშხიანი გოგონა, იქვე კუთხეში იჯდა და რაღაცასა ჰხატავდა.

ის მშვენიერი არსება ვილაცის სახესა ჰხატავდა და ალაზათებდა სხვა-

ლებისათვის თვით სახელმძღვანელოც შეედგინა რომელსამე მცოდნე ქართველს უცხო ენების სასწავლებლადა, ისეთი სახელმძღვანელო, როგორიც არის მაგალითად სახელმძღვანელონი ოლენდორფისა, მარგოსი, ან კიდევ განემანისა.

⁂ დღევანდელს ჩვენს გაზეთში დაბეჭდილია რუსეთიდამ მოწერილი საყურადღებო ამბავი. პროფესორს ივანე თარხნიშვილს ერთის ახალის მოგონებით კიდევ გაუმდიდრებია მეცნიერება.

⁂ რამდენსამე ქართველს ახალგაზდას განუზრახავს მიმოიაროს საზაფხულოდ ზოგიერთი მივარდნილი კუთხე და თემი ჩვენის საქართველოსი. ამ ახალგაზდების წრეს აზრადა აქვს ამ მიმოვლის დროს შეჰკრიბოს ყოველ-გვარი ცნობა და ამბავი იმ თემისა, საცა იმოგზაურებს. მოგზაურთა შორის იქმნება სხვათა-შორის მხატვარიცაო, რომელიც გადაჰხატავს უფრო საყურადღებო სანახავსა და სახილველსა ბუნებისასაცა და ხელქმნილის საგნებისასაცაო. პირველ ზაფხულს მიმოივლიან რაჭასა, ლეჩხუმსა და სვანეთსაო და მეორეს—საინგილოსა და კახეთსაო.

ეჭვი არ არის, რომ ასეთი დავლა ამ საინტერესო თემებისა ფრიად მოსაწონი და საქები საქმე იქმნება. სასურველია, რომ მიმოვლა და თვალ-და-თვალ გაცნობა საქართველოსი ჩვეულებად შემოვიდეს ჩვენს ახალგაზდობაში, მეტადრე მასწავლებელთა-შორის, რომელთაც ზაფხულობით თავისუფალი დრო ბევრი აქვთ. სასურველია ისიც, რომ მოგზაურობამდე კარგად იყოს გამორკვეული, რას უფრო უნდა მიაქციოს მოგზაურთა ამხანაგობამ ყურადღება და ისიც განსაზღვრული, თუ ვინ რა მხრივ გამოიკვლიოს და გამოიძიოს მოსამგზავრებელი თემი და კუთხე ქვეყნისა.

⁂ ჩვენს საქართველოსა და კავკასიაში ამ მოკლე ხანში დიდ-ძალი მუშტარი გამოუჩნდა ძველს სპარსულს ხალიჩებსა. ოლონდ-კი ძველს ხალიჩას შეხვედროდა მუშტარი და მზად იყო ღირებულებაზედ ერთი ორად მეტი ფასი მიეცა. იმდენს ფასს იძლევოდნენ და დღესაც იძლევიან ძველში, რამდენითაც ორს თუ არა, ერთს ახალს მაინც იყიდის კაცი. ყველას უკვირდა ეს ამბავი და ამას ამბობდა, რომ ძველი ხალიჩა ასე იმიტომ ფასობს, რომ კარგის ღირსებისა იყო ხოლმეო. ერთმა აქაურმა რუსულმა გაზეთმა სთქვა, რომ ძველს ხალიჩებს ჰყიდულობენ, ჰგზავნიან ამერიკაში, იქ ახლად ჰლებავენ და მერე ახალის ფასადა ჰყიდიანო. მაგრამ ეს ტყუილი გამოდგა. თუ ძველს იმ ფასადვე გაჰყიდიან შეღების შემდეგ, რა ფასადაც უყიდნიათ, ამაში რა სარგებელი უნდა ენახათ. მიზეზი ამ გარემოებისა სხვა არის და აი რა: ძველს ხალიჩებს ჰყიდულობენ ამ ჟამად თურმე უფრო სპარსელები ინგლისელთ ვაჭართა მინდობილობით. ეს ვაჭრები აგროვებენ ამ ხალიჩებს და ჰსურთ სწორედ იმ გვარივე ძვირფასი და იმავე სახისა და ძაფის ხალიჩების ქსოვა მოახერხონ ინგლისის ქარხნებში, როგორიც ძველი სპარსული ხალიჩებია, რადგან ამ ხალიჩების მართლა და დიდი ღირსება ეჭვს გარეშეა. ბევრი ძველი ხალიჩები ისეთი მტკიცე ნაქსოვია და ისეთის მკვიდრის ფერადებისაა, რომ 60 და 80 წელსა სძლებს და არც ფერსა სცვლილობს და არც ძრიელა ცვდება.

⁂ სამშაბათს, 27 იანვარს, 7½ საათზე დანიშნულია მორიგი კრება კავკასიის სამეურნეო საზოგადოებისა. განსახილველი იქნება შემდეგი საგნები: ქაღალდი სახელმწიფო ქონებათა მინისტრის რწმუნებულისა. საზოგადოებამ თავის მოსაზრებანი უნდა წარუდგინოს მინისტრის რწმუნებულს იმის თაობაზე, შეიძლება თუ არა მუშტაიდის ახლო, ხეხილის სახარებელ ბაღში, ერთი ნაჭერი მიწა მისცეს საზოგადოებამ აბრეშუმის საცდელის სადგურისათვის. პროცენკოს მოხსენება აბრეშუმის მოყვანაზედ იმიერ-კასპიის ქვეყნებში. ანგარიში აბრეშუმის მოყვანისა კავკასიაში 1886 წელს ბ-ნის ლერისიესი.

⁂ გორიდამ გვწერენ: წრევანდელისთანა ახირებულს ზამთარს კარგა ხანია არ შევსწრებივართ ქართლელები: ამ თვის 16-ს საღამო ჟამზე ძალიან თოვლდა, სულ ბარდნიდა; ღამის თერთმეტის საათის ნახევრამდე მშვიდობიანად თოვლდა; ღამე ერთობ ყუჩი იყო; თერთმეტის ნახევარზე ამოვარდა უეცრად ძრიელი დასავლეთის ქარი. გრიგალი მშიერ ლომსავით ღმუოდა და ღრიალებდა. ისეთი კორიანტელი დადგა, რომ თვალთა წინა აღარა სჩანდა-რა. მეორე დილას სულ მთლად ამოვსილული იყო ხევები; გორის ქუჩებზე გავლა საძნელო გახდა; სახლები სულ ამოჰვსილა. ქარმა სამი დღე იქროლა. დიდ-ძალი სოფლის ხალხი დაემწყვდა დუქნებში, რაკი წასვლა საშიში გახდა. რკინის გზაზე შესწყდა ორთქლ-მავალთა მიმოსვლა; მგზავრთა ორთქლ-მავალი მხოლოდ გორამდე მოდიოდა, გუშინ დაიწყო ხაშურიდამ სიარული მატარებელმა; სურამის ქედზე ჯერ ისევ სწმენდენ თოვლსა. რამდენსამე ადგილას გაჩერა თურმე ორთქლ-მავალი, ასე რომ სადგურებამდე ვეღარ უწიეს. ხალხიც დაზარალა; რამდენსამე ადგილას მოისწრო საშინელს ქარ-ბუქსა მგზავრები სათვის და დაერჩო. დაჰყარეს ხმა, რომ ერთი მღვდელიც დაირჩოვო, მაგრამ ეს ხმა ბოლოს ტყუილი გამოდგა.

⁂ იქიდამვე გვწერენ: ამ იანვარში გორში ერთს საღამოზე ორს იმერელს ჩხუბი მოსვლიათ ლხინისა და ქეიფის დროს; ერთს, ხელობით თერძსა, ხანჯლით დაუჭრია მეორე—ხიდირბეგიშვილი; პოლიცია მაშინვე მიიჭრა ადგილზე, ჩხუბი მოსპო და გამოგზავნა თურმე კაცი მაზრის ექიმთან. იმ ღამეს «გორის კრუჟოკში» საცეკვაო საღამო ყოფილა. ექიმი იქ თურმე ქაღალდს შექცეოდა; რამდენჯერმე სთხოვეს, რომ მიჰპატრონებიყო დაჭრილსა, მაგრამ იგი „მწვანე სტოლს“ თავს არ ანებებდა. გავიდა თითქმის ორი საათამდის, კაცი კაცზე მოდიოდა, მაგრამ არ იქნა. ბოლოს მიიჭრა თურმე „კრუჟოკში“ თვით ქალაქის პოლიციის უფროსი ბოქაული და როგორც იყო წაიყვანა დაჭრილთანაო.

⁂ ტფილისში იბეჭდება კრებული თათრულ თქმულებათა, რომელიც შეუდგენია ახმედ-ბეგს ჯევანშირს. («კავკაზი»)

—

შეცდომის გასწორება. მე-14 ნომერში, „გასართობში“: „შუშის დაკოწიწება“ შეცდომით არის ნათქვამი „ხახვი“,—უნდა იყოს „ნიორი“.

ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

მაჰმადის რჯულის აღმსარებელთ მოსლემინებს უკიჟინებენ, რომ ბევრი ცოლები გყავთო, ეს მართალია, მაგრამ ამ მოსლემინებს რჯული მაინც ნებას აძლევს და აი ეს ამერიკელები კი, თუმცა ქრისტიანები არიან, მაგრამ ესენიც თითო ცოლს არა სჯერდებიან. მაგალითად, ამერიკაში მთელი საზოგადოებაა, რომელსაც მორმონობას უწოდებენ. მორმონებს აქამდინ სრული თავისუფლება ჰქონდათ, რამდენი ცოლიც უნდა ჰყოლოდათ, არავინ უშლიდა: დღეს კი ამერიკის მთავრობას განუზრახავს, ხელი შეუშალოს მორმონებს და ნება აღარ მისცეს ბევრის ცოლის ყოლისა. თავისუფლების მოყვარე მორმონ-ამერიკელებს არ მოსწონთ, რომ იმათ საქმეში მთავრობა ერევა და წინააღმდეგობას უწევენ. რითი გათავდება საქმე;—მორმონები გაიმარჯვებენ, თუ მთავრობა თავისას გაიყვანს, ამას შემდეგ შევიტყობთ. დღეს-კი ამ მორმონების შესახებ ერთი ამბავი გვინდა მოვიყვანოთ, რომელიც გაზეთ „Новости“-ს ამერიკის გაზეთებიდამ ამოუკითხნია.

ნიუ-იორკში ერთის შეძლებულის ქვრივი-ქალისათვის გაუცვნიათ ერთი ახალგაზდა, ლამაზის სახისა და ტანისა და, როგორც ეტყობოდა, შეძლებული ვაჭარი, რომელიც ქვემო ქვეყნებიდამ მოსულიყო ნიუ-იორკში საქონლის სასყიდლად. ქვრივს ოთხი გასათხოვარი ქალი ჰყოლია. ვაჭარს მოუხშირებია სიარული ამ ქალების დედასთანა.

ერთ დღეს ამ ვაჭარს ლაპარაკში, სხვათა შორის, უკითხავს ქვრივისათვის:

— ნებას მომცემთ, თქვენ სიძედ გავხდეო?

ქვრივს ძალიან გაჰხარებია და უთქვამს:

— დიდის სიამოვნებით. მე კარგა ხანია გატყობდით, რომ თქვენ ჩემი ქალები მოგწონთ, და სრული იმედი მქონდა, რომ ერთ-ერთს ჩემს ქალს უთუოდ ითხოვდით. ბოდიშს კი ვიხდი და უნდა გამოგიტყდეთ, თვალ-ყურს გულ-მოდგინედ გადევნებდით, მაგრამ აქამდინაც მაინც არ ვიცი, რომელი ქალი მოგწონთ, რომელზედ გნებავთ ჯვარი დაიწეროთ.

— ოთხივეზე ერთად! მიახალა ვაჭარმა.

— ოთხივეზე ერთად? ჰკითხა განცვიფრებულმა და თან შეშინებულმა ქვრივმა. უეჭველად, გეთაყვა, მე ყური მგონი როგორღაც სხვა ნაირად მოვკარი. თქვენ მგონი სთქვით: „ოთხივეზე ერთადაო!..“

— დიახ, სწორედ ეგრე გსთქვი...

— როგორ თუ ეგრე!... ეგ როგორ შეიძლება?... ჰკითხა გაოცებულმა ქვრივმა.

— მე მორმონი გახლავართ..

ქვრივს გული წაუვიდა და პატარძალ ქალებმა კი, რომელნიც მეორე ოთახიდამ ყურს უგდებდნენ ამ ლაპარაკს, ეს ბევრის ცოლების მსურველი ვაჭარი სახლიდამ კინწის-კვრით გამოისტუმრესო.

ადვილად დასაჯერია, რომ ეს ამბავი სრულიად ნამდვილიც იყოს, თუმცა ისიც კი აშკარად ეტყობა, რომ განგებ შეფერილია და შეღებილი გაზეთისაგან, რომელიც, ეტყობა, მორმონების მტერი უნდა იყოს.

⁂

გაზეთ „Новое Время“-ს კორრესპონდენტი ასეთს სურათს გვიხატავს სოფლის ცხოვრებიდამ.

აი როგორ მიეგება ახალ-წელიწადს ჩვენი მხარე, რომელიც აქამდე რუსეთის ბოლაზად ითვლებოდა. ფული არა გვქონდა და არც ეხლა გვაქვს; ზაფხული უხეირო იყო, ზამთარი ჯერ არ გვინახავს. იმედი გადაგვიწყდა, სასო-წარკვეთილებას ვეძლევით; და სავაგლახო უფრო ის არის, რომ ესეთი უბედურება დღეს კი არ მოგვდგომია თავს,—აი რამდენიმე წელიწადია ასეთ ყოფაში ვართ. ამ გვარმა უიმედობამ, სასო-წარკვეთილებამ ლამის სრულიად ძალა და ღონე გამოგვილიოს... რა ყოფაშია გლეხი, როგორ მიდის იოლას, რას აკეთებს?—გლეხი? გლეხი ჰხნავს, სთესავს, მკის, მოაქვს სახლში მოსავალი, მერე მიაქვს ბაზარში გასასყიდად... ხარჯს იხდის, შვილს აქორწილებს, მერე ჯარში ისტუმრებს, მკვდარსა ჰმარხავს და კიდევ ამბობენ, რომ ათს წელიწადში ერთხელ ახალს ქოხს იშენებს, რადგან ძველი ცეცხლში ეწვებაო.

აი გლეხის მთელი წლიური შემოსავალი და გასავალი. სხვა?

და-სხვა ფერით; ბოლოს გავიგე, რომ თავის სახის დახატვაცა სცოდნიყო. მე და ჩემი ახალი სახლის პატრონი ჩქარა მოვრიგდით. სახლის პატრონმა გამომიცხადა, რომ ყველაზედ მეტი და დიდი სათხოვარი ჩემი თქვენთან ის არის, რომ თავაზიანადა და ზრდილობიანად მომექცეთო!

ქალის გული ხომ საზოგადოდ გრძნობათა კიდობანია და ჩემის სახლის პატრონის ქალის გული-კი ამ მხრით მთელი გრძნობახანა იყო, თუ შეიძლება ასე ითქვას. ვისაც-კი დაინახავდა, ყველას კისერზედ ჩამოეკიდებოდა ხოლმე ეს ქალბატონი და ამიტომ არ გაიარა რამდენმამე დღემ, რომ მეც გავხდი ბედნიერი მისის გრძნობიერის ალერსისა.

აღარ მახსოვს, როგორ მოხდა ეს ამბავი: საღამო იყო, ოთახში ბნელოდა, ბუხარში ცეცხლი ღუღლუღებდა, დედა ისევ იმ შოპენის ვალსს აჟღარუნებდა, მე ქალთან ერთად ვიჯექი დივანზედ და იმას თავი ჩემს მხარზედა ჰქონდა დასვენებული... რაღა გაგიგრძელოთ, სანთლები რომ შემოიტანეს, მე უკვე დანიშნული ვიყავ. იმავ საღამოს რაღაცა ტკბილი წყალი დაელიეთ, მურაბები გიახელით და მეც, სწორე მოგახსენოთ, ჩემი სულელი თავი ბედნიერი მეგონა. მაშინ ფიქრად არც-კი მომდიოდა ის გარემოება, რომ თავი გავეცი და რომ ამ თავს თან ექვსი თეატრის ბილეთი გავაყოლე.

მეორე დღეს ჩვენ თეატრში წავედით; საუბედუროდ, დედამაც მოინდომა წამოთრევა და, მეტი ღონე არ იყო, მესამე ბილეთიც უნდა მეყიდნა,—ხშირად ერთი-ორ ფასად. ეს ხარჯი ძალიან ამსუბუქებდა ჩემს ისეც მსუბუქს ჯიბეს, მით უფრო, რომ წარმოდგენის შემდეგ ყოველთვის ვახშამს შევექცეოდით ხოლმე სამივენი ერთს საუკეთესო სასტუმროში.

ერთს მშვენიერს დილას ჩემს რამდენსამე ნაცნობსა და ამხანაგს შევხვდი; საუზმეზედ დამპატიჟეს და ბევრიც დამალევინეს. მე დილით ბევრს ღვინოს ვერ ვიტან და ამიტომ, როცა სახლში დავბრუნდი, ჰარხალივით წითელი ვიყავი და უგზო-უკვლოდ ბევრს ვარახუნებდი; მე ვლაქლაქებდი და დედა და ქალი კი, პირ-იქით, ჩუმად ისხდნენ და ალაგიდამ არ იძვრებოდნენ.

— მე დღეს ცოტა მეტი მომივიდა, ვუთხარი მე,—ნაცნობები შემხვდნენ და ბილეთები მთხოვეს.

— შენ და შენი ბილეთები! რა გაგიხდა, გენაცვა, მოსვენება კი აღარა გაქვს მაგ ბილეთებისაგანა და! ისევ ისა სჯობია, ერთხელ და ერთხელ მე მომცე და მე მქონდეს. ჩემს ნაცნობებსა და ნათესავებს დავპატიჟებ ხოლმე თეატრში და იმის გულს მოვიმადლიერებ.

მეც ბილეთები ხელში ჩავაჩეჩე და მას შემდეგ აღარ მინახავს, თუ როგორი და რა ფერისა იყო.

მე ვიცოდი, რომ ჩემი დანიშნული კაი ოჯახის ქალი იყო, მაგრამ რა მომაფიქრებინებდა, თუ იმდენი ნათესაობა ეყოლებოდა: ბილეთები რამდენსამე დღეზედ უკვე დაჭერილი იყო და ჩემი საცოლეც ჰნიშნავდა ხოლმე, თუ რომელს დღეს რომლისათვის უნდა გაეგზავნა ბილეთები. ჩემს ნაცნობებს ვიღა ჰკითხულობდა, და ამას ის ბოლო მოჰყვა, რომ ქუჩაში თან-და-თან თავის დაკვრა და ქუდის მოხდა მომაკლდა და ძალლადაც არავინ აღარ მაგდებდა. ინგლისელმა ქალმა ჩემს საცოლესთანაცა სცადა ბედი, ერთხელ ეწვია; წასვლისას ერთი ქაშანურის ალთაფა, ტაშტი და სასაპნე გამოუგზავნა და თან მოეწერა, რომ ყოველივე ეს შენთვის ძალიან გამოსადეგიაო; მაგრამ ვერაფერს გახდა, ჩემი დანიშნული აითხვირა, ნაფეშქაშევი უკანვე მიახალა, და ამის შემდეგ ინგლისელის ქალის ხსენება გაწყდა ჩვენს სახლში.

ამ დღის შემდეგ ჩემი ბილეთები ახლოც არ მომაკარეს, და თვით ჩემთვისაც-კი რომ მოვინდომებდი, უნდა ქანცი გამეწყვიტა, წავსულიყავ და იმათგან მეთხოვნა, ვისთვისაც ჩემს მშვენიერს საცოლეს ენებებინა და გაეგზავნა. ძვირფასი დეიდები და მამიდები ჩემის დანიშნულისა ისე თავაზიანად იქცეოდნენ, რომ ყოველთვის თითონ მობრძანდებოდნენ ბილეთების წასაღებად, მაგრამ უკან გამოტანის ილაჯი აღარ იყო ხოლმე. ამას გარდა კიდევ ის იყო თავში სატეხი და სახეთქი, რომ სხვებსა სწყინდათ, თუ დროზედ არ გავუგზავნიდით ბილეთებს.

ერთხელ სახლში მივედი, ჩემი დანიშნული იჯდა და თავის თავსა სტიროდა; ცრემლებისაგან უმარილი ჩამოსულიყო და ნიკაპის წვერზედ მოჰგროვებიყო. მიზეზი ამ ტირილისა ის იყო თურმე, რომ ჩემს ნაცნობს ახალგაზდა ქალებს წერილები მოეწერათ და ეკითხებოდნენ, შენს საქმროსა სთხოვე, ბილეთები გამოგვიგზავნოსო. ისე გაკაპასდა ეს მშვენიერი კრავი, რომ ფეხების ბარტყუნით მიბრძანა, ეგ წერილები უკანვე გაუგზავნე პატრონებს უპასუხოდაო. მეც იმდენი სილაჩრე ჩავიდინე, რომ თხოვნა, თხოვნა-კი არა, ბრძანება აღვასრულე. ის დღე იყო და ის დღე, მშვენიერმა ანგელოზებმა ბლერსის მაგიერ ბლეერა დამიწყეს და იმათს სახლის კარებს სამუდამოდ ურდული გაეყარა ჩემთვის.

⁂

მეცა მყავდა ერთი დეიდა. დეიდაჩემი ძალიან მდიდარი იყო, ქალაქს გარედა სცხოვრებდა, შვილი არა ჰყავდა და მემკვიდრედ სახეში მე ვყავდი. უეცრივ წერილი მომივიდა ამ დეიდისაგან, რომ დღეისწორს, კვირას, ქალაქში უნდა ჩამოვიდე და ახალი პიესა უნდა ვნახოო, რომელსაც ასე აქებენ გაზეთებშიო. ღმერთი ხომ მოწამეა, დეიდა ჩემი კრიჟანგი დედა-

მოგება კი აღარ ჰრჩება რა?—როგორ არა, ჰრჩებაო,—განაგრძობს იგივე კორრესპონდენტი:

> აქაურის გლეხის მოგება—ჩალააო; ჩალაა გლეხის კეთილ-დღეობა. თუ ჩალას გასავალი აქვს, თუ ჩალა გაყიდა გლეხმა,—ცხოვრება შეუძლიან, თუ არა და მათხოვრობას უნდა მიჰყოს ხელი.

სანუგეშო არაფერია, როდესაც კაცის მთელის წლის ნაშრომი და ნადაგი „ჩალის" ფასად გადის!..

წერილი რუსეთიდამ

ამ უქმეებსაც ძლივს მოვრჩით; მე არა მგონია სხვა განათლებულ თუ გაუნათლებელ ქვეყნებში ამოდენა უქმეები იცოდეს, როგორც რუსეთში იცის. არც ისა მგონია, რომ იმ გვარი სხვა და-სხვა რიგი დროს გატარება, როგორც პეტერბურგში იციან, სხვა ქალაქში იყოს სადმე. თეატრები, მასკარადები, კლუბები და სხვა შესაქცევარი ადგილები სულ სავსეა ხალხით. თეატრში ამ დროს წასვლა რო გინდოდეს, კარგი უნდა, რომ ბილეთი იშოვნო. იმდენი ხალხი აწვევია კასებს, რომ რამდენიმე საათი უნდა იდგე, მანამდისინ ბილეთის აღების რიგი მოგივა. ზოგიერთის წარმოდგენისათვის მთელ ღამეს ყარაულობენ კასის წინ, რა არის არავინ დაგვასწროს და ბილეთი ვიშოვნოთო. ზოგიერთ კასების წინ ოთხას-ხუთასი კაცი რამდენსამე პირად გამწკრივებული უცდის თავის ჯერსა. როგორც ამბობენ, ბევრი კასირი ამით სარგებლობს, იტოვებს თითონ ბილეთებსა და მასუკან დალალების შემწეობით ერთი სამად, ოთხად ჰყიდიან ხალხზედ ბილეთებსა და მოგებას შუა იყოფენო. ზოგჯერ მინახავს ამ გვარი სურათი: მიდიხარ ხუთ-ექვს საათზედ კასასთან, ჰხედავ ოცს—ოც-და-ათს კაცს შენზედ წინად მოსულს; ჰფიქრობ, არა უშავსრა, მე-ოცდა-მეთერთმეტე ბილეთი მაინც შემხვდებაო. უცდი რამდენსამე საათს. აგერ შესრულდა ცხრა საათი. გაიღო კასის კარები. კასირმა გადაშალა ბილეთის წიგნები და დაუწყო ყიდვა. ბოლოს მოდგა შენზედაც ჯერი. ეუბნები კასირს, ესა და ეს ბილეთი მომეციო. ძალიან გაოცებთ და გაკვირვებთ, როდესაც კასირისაგან ტყობილობთ „კრესლოები", ანუ „ლოჟები" აღარ არისო, სულ გაიყიდაო. მაშინ გულ-ნაკლული ეუბნებით: ჩემზედ წინ ოცის კაცის მეტს რომ არ უყიდნია ბილეთები, ესე მალე სად გაჰყიდეთო? რაკი გეუბნებიან, აღარ არისო, ალბათ გაიყიდაო, მოგიგებს გულ-ცივად უნდობელი კასირი. რას იზამ? ან უნდა სხვა ბილეთი აიღო და ან არა და ხელ-ცარიელი წამოხვიდე. ავი ენები ამბობენ: ზოგიერთ კასირებს თავის პატარა ჯამაგირებით დიდი სახლები გამოუჭიმავთო.

კერძო ოჯახებშიაკ, ვისაც კი შეუძლიან, მართვენ წარმოდგენებს, ბალებს, სამუსიკო და სატანცაო საღამოებს. ერთის სიტყვით, როგორც წინადა ვსთქვი, ამ გვარსა და ამდენს დროს გატარებას კაცი ძნელადა ჰნახავს.

გარდა ამისა ზოგიერთ საზოგადოებაში ახირებული დარბაზობა იციან. თითქმის მთელი დღე დარბიან ეტლებით და ამ დარბაზობას, ერთმანერთთან მისვლა-მოსვლას უნდებიან. ღამე კი ან თეატრში, ან სხვა «ვეჩერებში» ატარებენ დროსა. ბევრჯელ დავფიქრებივარ და მიკითხავს ჩემის თავისათვის: ასე რომ ატარებენ დროს, საქმეს როდის-ღა აკეთებენ-მეთქი? ან ვისაც ცოლ-შვილი ჰყავს, როდის ატარებენ ცოლ-შვილში დროსა? ამ გვარი საკითხავები უპასუხოდ მრჩება..

სასახლეშიაც დაიწყო ბალები. გუშინ საზამთრო სასახლეში იყო პირველი ბალი, სადაც სამი-ათასს სულამდინ იყვნენ მიწვეულნი. ამბობენ, დიდ მარხვამდინ სასახლეში რვა ბალი იქნებაო.

საპოლიტიკო ცაზედ-კი ძალიან შავი ღრუბლები იკრიბებიან. არავინ არ იცის, რითი გათავდება ამ ღრუბლების არევა—დაუშენს სეტყვას, თუ მზე გამოვა. ღმერთმა ინებოს, ყოველისფერი კეთილად დაბოლოებული იყოს, თუმცა ამაზედ-კი დიდი ეჭვია.

ახლა არ შემიძლიან ჩემ მკითხველს არ გავუზიარო ერთი დიდად და დიდად სასიამოვნო ამბავი: ჩვენმა პატივცემულმა პროფესორმა ივანე თარხნიშვილმა მოიგონა ერთი ექსტრაქტი, რომელიც არის შემდგარი კვერცხის ცილისაგან. კვერცხის ცილაში არის ერთი საკვები ნაწილი, რომელსაც რუსები „бѣлковина"-ს უწოდებენ და მე ქართულად „ცილნარს" დავარქმევ. ეს «ცილნარი» კაცისათვის და მის აგებულებისათვის აუცილებელ საჭიროებას შეადგენს. აქამდისინ ბევრნი მეცნიერნი ცდილან ამ საკვების ნაწილიდგან ექსტრაქტი, ანუ კონსერვი*) შეედგინათ, მაგრამ აქამომდე ვერავინ მიაგნო. ეხლა კი პროფესორმა თარხნიშვილმა კვერცხის ცილა თვისების შეუცვლელად ფქვილად აქცია. ამ ფქვილისაგან ჩინებული საჭმელი წვენი კეთდება და ერთი გირვანქა ამ ფქვილისა რვა დღეს ეყოფა კაცსა. ამ ცოტას ხანში პროფესორი წარუდგენს უმაღლესს მთავრობას თავის აღმოჩენილს ექსტრაქტსა და, თუ მართლა ისეთი ყუათიანი საჭმელი გამოდგა ამის კონსერვი, მაშინ დიდი მნიშვნელობა ექმნება ომიანობის დროს ჯარისათვის და ქართველებშიაც იქმნება ლიბიხი**), იმ განსხვავებით, რომ ლიბიხის ექსტრაქტი ისეთი ყუათიანი არ არის და მალეც (ოთხ-ხუთ თთვეში ხდება და თარხნიშვილის ექსტრაქტი კი ათ წელიწადს მეტს შეინახება.

იმ დღეს მე და სამეგრელოს თავადი ვიყავით საუზმეზედ მიწვეულნი პროფესორთან და მთელი საუზმე, როგორათაც წვენი, ისე ერბო-კვერცხი, ქადები, წელა, ხიზილალა, ჟილე, სულ კვერცხის ცილის კონსერვით იყო გაკეთებული და საშინელი გემრიელიც იყო. ღმერთმა ინებოს, რომ მეცნიერებაში ამ გვარი ჩინებული კაცები უფრო ბლომადა გვყოლოდეს. მაშინ იქნება ზოგიერთმა ჩვენის ერის ვითომდა უნიჭობა ლობიოს არ მიაწეროს.

დროებით პეტერბურგელი

---

*) ექსტრაქტს იმას ეძახიან, როცა რომლისამე ნივთიერებისაგან საჭირო ნაწილს ცალკე გამოსწურვენ, ამოიღებენ. ეს საჭირო ნაწილი, სხვა რომლისამე საჭირო ნივთიერებით შეზავებული და ისე კარგად მომზადებული, რომ დიდ ხანს გასძლოს და არ გაფუჭდეს, კონსერვი იქნება.

**) გამოჩენილი გერმანიელი ქიმიკოსია.

უცხოეთი

ბოლგარია. სამზღვარ-გარეთის გაზეთების სიტყვით, ცანკოვს უკვე წარუდგენია ოსმალეთისათვის პროგრამა, თუ როგორ უნდა გადასწყდეს და წესიერებაში მოვიდეს ბოლგარიის საქმე. აი ეს პროგრამა: 1) სარეგენტო მთავრობა სამსახურიდგან უნდა გადადგეს; 2) უნდა შესდგეს ახალი სამინისტრო ბოლგარიისა სხვა-და-სხვა დასთა წევრთაგან და ამ სამინისტროში თავ-მჯდომარისა, შინაგანთა და გარეშე საქმეთა მინისტრების თანამდებობა უეჭველად ცანკოვის დასის წევრთ უნდა მიენდოთ; სამხედრო მინისტრის თანამდებობა უნდა მიენდოს რუსეთის რომელსამე გენერალს, მაგალითებრ, გენერალ კაულბარსს, ან გენ. კანტაკუზინს, რომელსაც ადრეც ჰქონდა ეს თანამდებობა მინდობილი ბოლგარიაში; 3) უნდა არჩევნები დაიწყოს და ახალი დიდი საერო კრება შესდგეს ბოლგარიის სამთავრო ტახტისათვის კანდიდატის ამოსარჩევად; 4) 9 აგვისტოს ყველა დამნაშავედ უნდა ეპატიოთ დანაშაული და თავ-თავისი თანამდებობა დაუბრუნდეთ; 5) ეხლანდელი ჯარი უნდა დათხოვნილ იქმნეს და სხვა ჯარი იქმნეს გამოყვანილ; 6) ეხლანდელი კანსტიტუცია ან უნდა სრულიად გაუქმდეს და ან ხელ-ახლად განხილულ იქმნას; 7) სამეგრელოს თავადი ნიკოლოზი უნდა ამოირჩიონ კანდიდატად.

— ამის გამო სოფიიდგან აუწყებენ გაზ. „Kölnische Zeitung"-ს, რომ ცანკოვის მიერ შედგენილი პროგრამა ბევრს თვით ცანკოვის დასის მომხრეთაც არ მოსწონთო. ოსმალეთმა თუმცა შეიწყნარა, მაგრამ სრულიად და შეუცვლელად არ დათანხმებულა პროგრამის ყველა მუხლზეო; ოსმალეთი ზოგიერთ პირობებს ბოლგარიის შინაგან საქმეთა მმართვისას სრულიად უარ-ჰყოფსო.

— პარიჟიდგან დეპეშით აუწყებენ გაზ. «Daily News»: სტამბოლიდამ გვატყობინებენ, რომ იქ ამ მოკლე ხანში კონფერენცია მოხდება დიდთა სახელმწიფოთა ელჩებისა ბოლგარიის საქმის დაბოლოვებაზედ მოსალაპარაკებლადაო. ამ კონფერენციაზედ ყველა დიდნი სახელმწიფონი დათანხმებულან ინგლისის გარდა; ინგლისი იმ აზრისაა თურმე, რომ კონფერენციამ ჯერ უწინარეს ყოვლისა მთავარი ამოარჩიოს ბოლგარიის სამთავრო ტახტისათვის და მერე ეცადოს ბოლგარელების დაულიებასა და დამძლავებას, თუ რომ ბოლგარელნი კონფერენციის მიერ ამორჩეულის მთავრის წინააღმდეგნი იქმნებიანო. მეორე მხრივ სოფიიდგანვე მოგვდის ამბებიო, ამბობს იგივე გაზეთი, რომ სარეგენტო მთავრობამ ბოლგარიისამ გარდასწყვიტა, თავის ერთხელ არჩეულ გზას არ უღალატოს და არ გადუხვიოსო.

— ვულკოვიჩს სტამბოლიდგან დეპეშით შეუტყობინებია ბოლგარიის სარეგენტო მთავრობისათვის, რომ ბოლგარიის საქმის გადასაწყვეტად ამ ჟამად ყველა აღმოსავლეთ-ევროპის დიდნი სახელმწიფონი ერთად მოქმედებენ და, ვგონებ, მათი წინააღმდეგობა-კი არაფერს სიკეთეს დაგვაყრისო.

საფრანგეთი. ბულანჟეს უფრო და უფრო ემატებიან მოწინააღმდეგენი. ყველა იმის ცდაშია, რომ ბულანჟეს დასდოს ბრალი გერმანიისა და საფრანგეთის შორის უთანხმოებისა. ამასობაში თვით გენერალი ბულანჟე-კი იმასა ცდილობს რომ ყველას დაუმტკიცოს, მშვიდობიანობის მომხრე ვარ და არა ომისა და ბრძოლისაო. ამას წინად ბულანჟეს განზრახვა ჰქონდა, რომ დეპუტატთა პალატაში სიტყვა წარმოეთქვა და დაემტკიცებინა, რომ ცილსა მწამებენ, ვითომ სისხლის ღვრასა და ბრძოლას ვიყო მოწადინებულიო, მაგრამ მოწინააღმდეგე გაზეთებმა ასტეხეს ამაზედ დიდი ბასსი და იმას გაიძახოდნენ, რომ სამხედრო მინისტრს ნება არა აქვს საპოლიტიკო საქმეებზედ სთქვას რამე საჯაროდაო. მაგალითებრ, გაზ. „Rèpublique Française"-მ თითქმის ერთი მთელი ნომერი თავის გაზეთისა იმას მოანდომა, რომ ბულანჟეს არიგებდა და სიფრთხილეს ურჩევდა. «გენერალ ბულანჟეს მხოლოდ მაშინ შეუძლიან ლაპარაკიო,—ამბობდა ეს გაზეთი, როცა სალაპარაკო საგანი მის უწყებას შეეხება და საერთო პოლიტიკაზედ კი ნება არა აქვს რამე სთქვას, რადგან ჯერ ერთი, მინისტრ-პრეზიდენტი არ არის და მეორეც—არც ერთი რესპუბლიკანელი არ დათანხმდება, რომ რომელსამე სამხედრო წოდების კაცს საფრანგეთისას ამ ქვეყნის პოლიტიკაზედ რამე გავლენა ჰქონდესო.

კაცი არ იყო, მაგრამ მაინც მწერდა, რომ უეჭველად შენის ბილეთებით უნდა წამიყვანო თეატრშიო. უნდოდა ვითომ თავი გამოეჩინა, აი ჩემი დისწული მწერალია და მუქთი ბილეთები ეძლევა თეატრიდამაო.

მე ეს წერილი დილით მივიღე და მაშინვე ჩემი დანიშნული ვნახე და ბილეთები ვსთხოვე.

— ბილეთები მაიორის ცოლსა და ქალს გავუგზავნეო, არხეინად მიპასუხა ჩემმა ქალბატონმა,—ორი კვირაა დაპირებული ვიყავი.

— ხომ კარგად იცოდი, რომ მე უნდა დავსწრებოდი კვირის წარმოდგენას და რეცენზია დამეწერა.

— სულ გადამივარდა გულიდამ, მაგრამ რა უშავს, იყიდე და დაესწარი რა.

— დეიდაჩემს რაღა პასუხი გავცე? დიდი ხანია მოწადინებულია ჩემის ბილეთებით თეატრში წასვლას.

— რატომ ადრე არ მოიწერა, თუ ეგრე უნდოდა, ვისი რა ბრალია?

— განა არ შეიძლება, რომ მაიორის ცოლს წერილი მისწერო, ბოდიში მოიხადო და უკანვე სთხოვო ბილეთები?

— იჰ, იჰ, ეგ-ღა მაკლდა, რომ ნათესაობა მოვიმდუროო მაგისთანა ჩალის ფასის საქმისათვის და თავი შევირცხვინო!

— მაშ, როგორაც სჩანს, დეიდაჩემი შენს მაიორის ცოლზედ დაბლა მდგარა და ულირსი ყოფილა!?

— ღმერთო, ჩამქოლე! რაებს მეუბნება? აი შავ და უკუღმა ყოფილიყო ის დღე, რა დღესაც მე შენ ბილეთები გამოგართვი! ნეტა სულ თვალით არ გეჩვენებინა და არც ეგ სიტყვები გაგეგონებინა.

— აი ნეტავი ეგრე ყოფილიყომეთქი, მივახალე პირში და გამოვირახუნე კარები.

გავიქეცი თეატრში ბილეთების საყიდლად, მაგრამ წამლადაც აღარ იშოვებოდა და „ქანდარაზე" ხომ ვერ ავათრევდი დეიდაჩემს.

შუა-დღისას ჩამოვიდა დეიდაჩემი და ძალიან კარგ გუნებაზედაც იყო. როცა სასტუმროში მივიყვანე დეიდაჩემი, შორიდგან ფრთხილად მოვუყევი ბილეთების თავ-გადასავალს. რასაც მოველოდი, ამიხდა; დეიდაჩემმა ბრაზები გაყარა: თვალით აღარ დამენახოო, ჩემს ძირეზედ ფეხი აღარ მოდგარო, ეხლავე წავალ უკანაო და სხვა ამისთანები. მე თავის მართლება აღარ დავიწყე, ავიღე ქუდი და კარები გამოვიხურე.

ბოლოს გავიგე, რომ დეიდაჩემი უკანვე შინ წასულიყო, მეორე დღეს ახალი ანდერძის წერილი დაეწერა და მთელი თავისი საცხოვრებელი ეანდერძნა თავის ძმის-წულისათვის, რომელსაც მანამდე ახლოც არ იკარებდა. ამ ამბავმა ისე მომშალა, რომ მთელი დღე სასტუმროებსა და ყავახანებში დავეთრეოდი და ჯავრს ბოთლებზე ვიყრიდი. ჩემთვისაც კი აღარ ვიშოვნე ბილეთი, რომ თეატრში წავსულიყავ და რეცენზია დამეწერა,—რეცენზიის გული ვილასა ჰქონდა. როცა შინ დავბრუნდი, ვახშამი ჩემს ოთახში მომიტანეს და გამომიცხადეს, რომ ქალბატონი ქალითურთ სასეირნოდ გიახლნენო.

მეორე დღეს მაიორის ცოლს ბილეთები გამოეგზავნა და მოეწერა, რომ სტუმრად დაპატიჟებული ვიყავ, თეატრში წასვლა ველარ მოვახერხე, ჩემი ორი მოახლე გავგზავნე და ძალიან მოსწონებოდათო.

შუა-დღისას წერილი მივიღე უფროსის რედაქტორისაგან და აი რასა მწერდა: «დიდად სამწუხაროა, რომ გაზეთისათვის რეცენზია არ გამოგზავნეთ. თქვენ გამო პიესის დამწერთან უსიამოვნება მომივიდა: დღეს დილით მომივარდა სახლში და ცილი დამწამა, რომ განგებ გიქმნიათ ეგაო. თეატრის დირექტორიცა და მოთამაშეებიც ძალიან ცხვირ-აწეულები არიან ჩვენზედ მაგ ამბისავე გამო. მესმის, მესმის რადაც არ დასწერეთ რეცენზია: გუშინ თქვენი ადგილები თეატრში ორს ვილაცა მოახლეს ეჭირა და ისინი, რასაკვირველია, რეცენზიას ვერ დასწერდნენ. ბოდიშს ვიხდი თქვენს წინაშე, მაგრამ დღეიდგან იძულებული ვარ თქვენს ადგილას ახალი თანამშრომელი მოვიწვიოო».

მეც წავიღე წერილი და ხმა-ამოუღებლივ გადავეცი ჩემს საცოლეს, რომელმაც დიდის მღელვარებით წაიკითხა.

— მაშ ჩემის მიზეზით დაჰკარგე ადგილი?

— ეგრე უნდა იყოს, რაკი შენის პირითვე აღიარებ!

— მაშ დღეიდგან გიცხადებ, რომ ჩემის მიზეზით აღარავითარ უსიამოვნებას აღარ მოგაყენებ.

— იმოდენა ავლა დიდება, რომელიც დეიდაჩემმა ეხლა თავის ძმისწულს უანდერძა, ის აღარაფერია? მეტად, მეტად ძვირად დამიჯდა მე მაიორის ორის მოახლის თეატრში ყოფნა!

— ოჰ, ღმერთო, რა სავაგლახო გამიხდა ეს ბილეთები! აჰა, წაიღე, თავეში იხალე ეგეც, ეს შენი ნიშნის ბეჭედიც; რაც ეგ ხელზე გავიკეთე, ჩემი საქმე სულ უკან და უკან წავიდა!

— დიდად გმადლობთ-მეთქი! ვუპასუხე და მეც თითიდგან ბეჭედი წავიძრე.

— ოჰ, დედიჯან, გამანთავისუფლე ამ ულირსისა და ქანგიანის კაცისაგან, წამოიკნავლა ქალმა და დედას გადაეხვია. დედამ კარები მიჩვენა, მეც მძიმედ დავუკარ თავი და დიდის სიამოვნებით გამოვაღე კარები.

აი რამდენი უბედურება და დავიდარაბა გამოვიარე მუქთის ბილეთების წყალობით. ეშმაკმა წაიღოს ბილეთებიც და ვინც ამას იქით ის ინატროს, ისიცა!

ორ-ანი

ოპპორტუნისტის დასის მომხრენი ისე მიესივნენ თურმე ბულანჟეს და ჰკიცხავდნენ, რომ მეგობრებმა ურჩიეს ბულანჟეს, შენს განზრახვას თავი დაანებე და ნურაფერს იტყვი დეპუტატთა პალატაშიო. სამაგიეროდ როშფორი თავის გაზეთ „Intransigeant“-ში თამამად ჰკიცხავს ბულანჟეს მოწინააღმდეგეთ. აი, სხვათ შორის, რა სიტყვებით ესარჩლება როშფორი ბულანჟეს: „ისინი, ვინც ბულანჟეს სამსახურიდგან გადადგომასა სცდილობენ გერმანიის სასიამოვნებლად, საფრანგეთის შვილებს ვერ უწოდებენ თავის თავს და საფრანგეთს თავის საქციელით იქამდე დაამცირებენ, რომ პარიჟს ბერლინის მაზრად გადააქცევენო.

ალფონს დოდეს ცოლის აზრი ქალებზე.

ამბობენ, ქალები მშიშარები არიანო, განსაცდელში, უბედურობაში სულ-მოკლეობას იჩენენო. ტყუილია, ცილის-წამებაა! ეს სულ კაცების მოგონილია; კაცები ხომ ყოველთვის რაღაცა შურის თვალით და მტრობით უყურებენ ქალებსა და, ვინ იცის, რა ცილს არ შესწამებენ, ოღონდ კი გული მოიფხანონ და ქალებს რითიმე აწყენინონ. „ქალები სულ-მოკლენი არიანო!“ გაგონილა განა ესეთი აშკარა ტყუილი და უსამართლობა? თავიანთ თავზე რატომ ალარას ამბობენ კაცები?...

აი თუ გინდა ომის ამბავი ავიღოთ. ჯერ საქმე ისევ სათუოა, ჯერ კიდევ ღმერთმა უწყის, იქნება ომი თუ არა, და აი კაცები კი ლამის დღესვე სასოწარკვეთილებას მიეცნენ: გააქეთ ერთი ვაი-ვაგლახი, უი და ვიში,—ლამის ჭკუა და გონება ზედ გაადაყოლონ.

ქალები? ოჰ ქალები აინუნშიაც არ იგდებენ ამ ამბავს. რატომ? რატომ და იმიტომ რომ გულ-მაგარნი არიან, რომ ქალები ისე სულ-მოკლენი არ არიან, როგორც კაცები: რუსთაველის სიტყვებს:—

ჭირსა შინა გამაგრება
ისე უნდა, ვით ქვიტკირსაო,—

დღეს ქალები უფრო მტკიცედ ასრულებენ, ვიდრე კაცები; დღეს ქალები აგულადებენ კაცებსა. არა გჯერათ? მაშ აი მოწმად ქალსავე მოვიყვან.

⁂

აი, მაგალითად, საფრანგეთის გამოჩენილ მწერლის ალფონს დოდეს ცოლს რა უთქვამს ამ დღეებში ერთს თავის კარგ ნაცნობისათვის:

— მიკვირს, ღმერთმანი, ამ კაცების საქმე: ამ რაღაცა ომის მოლოდინში ლამის დანარჩენი საქმეები სულ დაივიწყონ. რისა გეშინიანთ, რას ეძლევით სასო-წარკვეთილებას? რა, ომი განა ახალი ამბავია?... გრცხვენოდეთ ასეთის სულ-მოკლეობისა! ჩვენგან, ქალებისაგან, მაინც აიღეთ მაგალითი. ვინ იცის, ვის ახსოვს, რა დროიდგან ჩვენ, ქალებს, მუდმივი, განუწყვეტელი ომი გვაქვს და იმედიც არა გვაქვს, რომ როდისმე ბოლო მოეღოს ამ ომსა და მშვიდობიანობა ჩამოვარდეს, მაგრამ ჩვენ მაინც სასოწარკვეთილებას არ ვეძლევით, ჩვენს საქმეებს, მოვალეობას თავს არ ვანებებთ, არ ვივიწყებთ არც ჩვენს ქმრებსა, არც მეგობრებსა, არც თეატრებსა და არც „ბალებს“...

ნაცნობი ვერ მიჰხვდა, რა ომზე ლაპარაკობდა დოდეს პატივცემული მეუღლე, და ამიტომ გაკვირვებითა ჰკითხა:

— ვინ არის ეგ უძლეველი მტერი, რომელთანაც ქალებს მუდმივი და განუწყვეტელი ომი გაქვთ?

— ვინა და მოსამსახურეებიო. დიახ, ბატონო, ეს ისეთი მტერია, რომელსაც მუდმივ უნდა ეომო; არა მგონია, მოიპოვებოდეს ისეთი სახლობა, რომ თუ გაცხარებული ომი არა აქვს, შიშიანობის წესზე მაინც არ იყოს დაყენებული სულ ამ მოსამსახურეების წყალობით. მუდმივ ჩხუბი, უსიამოვნება; ხშირად იმის გამო, რაც სალაპარაკოდაც არა ღირს: შენ ეუბნები მოსამსახურეს, რომ შენი მოვალეობა შენ თითონ უნდა გესმოდეს, შენი საქმე უნდა კარგად გააკეთოვო, და ის ამაზე გიპასუხებთ: როგორც უნდა გავაკეთოთ საქმე, თქვენ მაინც ვერას დაგანახვებთ, და კაი გულით არ მოგვექცევითო.

როცა მოსამსახურეთა და ქალბატონებს შორის ასეთი განხეთქილებაა, ცხადია, რომ აქ მშვიდობიანობა ვერას გზით ვერ ჩამოვარდება და ომი მუდმივ უნდა იყოს.

მოდი და ამის შემდეგა სთქვით, რომ ქალები გულ-მაგარნი არ არიანო! აბა რომელი კაცი შეუძლებდა ამ მუდმივს, დაუბოლოვებელს ომსა მოსამსახურეებთან? და აი ქალები კი ამ მუდმივ ომსაც უძლებენ, არც „ბალებს“, „ვეჩერებს“, თეატრებს აკლდებიან და მოდასაც თვალ-ყურს ადევნებენ. ჰრცხვენოდეს, ვინც ქალებზე ცუდს რასმე ამბობს და უსაქმობასა სწამობს!!...

დეპეშა

22 იანვარი

პეტერბურგი. უმაღლესად ნაბრძანებია: ახალ განკარგულებამდე აღკრძალულ იქმნას ცხენების გაყიდვა და გაყვანა რუსეთიდამ ევროპისა და ამიერ კავკასიის სამზღვრებზეო.

«Journal de St.-Petersbourg»-ი უარ-ჰყოფს გაზ. „Times“-ის ლაპარაკს, ვითომ რუსეთს განზრახვა აქვს დაიპყრას ნორვეგიის პორტი ოფოტენი და იქიდამ ემუქრებოდეს ინგლისსაო.

გაზეთები გვაუწყებენ, რომ მთავრობას განზრახვა აქვს გამართოს რამდენიმე განყოფილება სახელმწიფო ბანკისა.

დღეს მეტის-მეტად დაიწია სავექსილო კურსმა, სახელდობრ, ლონდონზე არის $12^{5}/_{8}$, ბერლინზე—184, პარიჟზე—229; ხუთ-მანეთიანი ოქრო ჰღირს 9 მან. 12 კაპ. ამისი მიზეზი ის არის, რომ პარიჟისა და ბერლინის ბირჟა შეშინდაო.

პარიჟი. გაზეთმა «France»-მ დაბეჭდა მთავრობისაგან შთაგონებული წერილი და ამბობს, რომ დიდთა სახელმწიფოთა ურთიერთობაში ისეთი ამბავი არა არის რა, რომ ამართლებდეს დღევანდელს საერთო შიშსა და მოუსვენარს ყოფასაო.

ბრიუსელი. ფინანსთა მინისტრს განზრახვა აქვს საჩქაროდ წარუდგინოს დეპუტატთა პროექტი და სთხოვოს 50 მილიონი ფული სამხედრო საჭიროებისათვისაო.

სოფია. მოლაპარაკება ბოლგარიის საქმის გამო დაიწყობა მხოლოდ მაშინ, როცა გალჩევი მივა სტამბოლსა. გალჩევს ხვალ მიელიან სტამბოლშიო.

ლონდონი. კონსერვატორების გაზეთი „Standard“-ი ამბობს, რომ თუ რუსეთი ბალკანიის ნახევარკუნძულისკენ გაემართება სტამბოლის დასაპყრობად გერმანიისა და საფრანგეთის ომამდე ან პირველსავე შეტაკების შემდეგ, ინგლისი გულ-ხელ-დაკრეფილი ვერ გაჩერდებაო. ამიტომ ინგლისი ვალდებულია მიჰყოს ხელი შეთოფ-იარაღებას და არ დაივიწყოს ის საშუალებანი, რომელნიც საჭირონი არიან, რათა გამზადებული დახვდეს გარემოებათაო.

ინგლისის ბანკმა დასწია დისკონტი 5-დამ 4%-მდე.

პარიჟი. აქ მოვიდა სუდანიდამ ამბავი, რომ აბისინელებმა იერიში მიიტანეს იტალიელების წინააღმდეგ მასსოვის ახლოს და იძულებული გახადეს დაეტოვებინათ სიმაგრენიო.

23 იანვარს.

რომი. გადასწყვიტეს მიაშველონ მასსოვას ჯარები. ამის გამო პალატას სთხოვენ ხუთის მილიონის კრედიტსა.

აფრიკიდამ მოსულმა ცუდმა ამბებმა ძლიერი ზედ-მოქმედება იქონიეს. პალატაში მეტად ცხარე ბაასი ასტყდა, ხალხი გარს შემოერტყა პარლამენტსა, რომელსაც ჯარები იფარვენ. უწესოება არა მომხდარა რა.

ლონდონი. ჩერჩილი კარგა ხნობით მიდის ევროპაში სიმრთელის აღსადგენად.

ათინა. პალატა შეიკრიბა და წარმოითქვა სეფე-სიტყვა, რომელიც სხვათა შორის იხსენიებს, რომ განკარგება ფინანსებისა და მზრუნველობა სამხედროსა და ფლოტზედა შეგვეწევა ჩვენს ეროვნულს სურვილს მივაღწიოთო, რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენი საკუთარი სახელი აღვადგინოთ და ელინოსას წარმატების გზა გავუხსნათო.

ბუქარესტი. პალატამ გუშინ გადასწყვიტა, რომ ხუთი მილიონი გადიდვას თოფ-იარაღის განკარგებისათვისაო.

გამოსადეგი ცნობანი

ნიხრი

16 იანვრიდამ 1 თებერვლამდე.

თეთრი პური რუსული 1 გირ.	5 კაპ.
წმიდა პური 1-ის ხარისხისა .	3
» 2 »	$2^1/_2$ »
თონის წითელი პური 1-ის ხარის.	5 »
» » 2—	$3^1/_2$ »
» » 3 »	3 »
ჯვარის მამის პურის ლავაში	
1 ლის ხარისხისა . .	5 »
მე-2 ხარისხისა . .	4 »
მე-3 — . .	$3^1/_2$ »
ძროხის ხორცი 1-ლის ხარისხისა.	8 »
» 2 »	7 »
სუკი. . . .	14 »
ცხვრის ხორცი . . .	8 »
ღორის ხორცი 1-ის ხარისხისა.	7 »
» 2 »	6 »

მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზედ.

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით საღამოების 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსიისკსა და ყირიმში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი, სამზღვარ-გარედ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამისას შორის გზით.

პარასკევობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (ყრიმსა და ნოვოროსიისკში შესვლით).

შაბათობით დილით სტამბოლიდამ

ფოთიდამ ბათუმში მოდის: სამშაბათობით, ამას შემდეგ, როცა ოდესიდამ მოდის გემი შორის გზით ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე და მიასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემს

შაბათობით დილის 9 საათზე და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია ყირიმისა და რუმელია-ანატოლიისკენ წამსვლელს გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკევობითა და კვირაობით. რაკი გემი მოვა ფოთიდამ ბათუმის სააგენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთსადგურებიდამ გადაწყვეტილს ვადაზე გემები

კვირაობით, საღამოზე და სამშაბათს ბათუმისკენ მიდიან, რაკი თავის საქმეებს გაათავებენ. მერე ბათუმიდამ პარასკევობით მიდიან ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურებისკენ, ხოლო თუ საჭიროა ფოთშიაც შეივლიან ხოლმე.

რუსეთის სანავოსნო საზოგადოების სააგენტო იმყოფება სასახლის ქუჩაზე, არწრუნისეულს ქარვასლაში, **№ 101.**

პეტერბურგის ბირჟა, 20-ს იანვარს 1887 წ.

ფასები:

	მსყიდველისა	გამსყიდველისა	გაყიდულისა
ხუთ მანათიანი ოქრო	—	—	9 მან.
ტამოჟნის კუპონები.	—	—	$174^3/_4$
5% პირველის შინაურის სესხის მომგები ბილეთი	—	—	$237^3/_4$ მან.
— მეორისა	—	—	228 მან.
გირავნობის ფურცლები:			
ტფილისის ბანკისა	—	—	—
ქუთაისის ბანკისა	—	—	—

განცხადებანი

დაიბეჭდა და ისყიდება ყველგან

ინსტანკტი (ალლო) დარვინის თეორიის შეხედულობით, თარგმანი რომანოზ ფანცხავას-მიერ, ფასი 15 კაპ.

ლოთი კაცის სიკვდილი, მოთხ. ჩარლზ დიკენსისა, თარ. ივ. ხოტეველისა. ფასი 5 კაპ.

გამოცემანი ზ. ჭიჭინაძისა

განცელარია და ბიბლიოთეკა „წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოებისა“ ღია არის: საღამოთი ყოველ-დღე, კვირას გარდა, 4—6 საათამდე; ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს დილით 8—10-მდე; კვირაობით დილის 11—1 საათამდე საღამოსი. (10—8)

ახალი წიგნი

(რუსულს ენაზედ)

„კერძო და საადგილ-მამულო უფლებანი ძველს საქართველოში“. I გამოცემა ფასი 35 კაპ. ისყიდება ტფილისის წიგნის მაღაზიებში. (50—33)

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„ივერია“

1887 წ. 1-ს იანვრიდამ გამოვა ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ-მოსდევენ კვირა-უქმეებს.

ფასი:

12 თვით . . .	10 მ. — კ.	6 თვით . . .	6 მ. — კ.
11 „ . . .	9 „ 50 »	5 „ . . .	5 „ 25 »
10 „ . . .	8 „ 75 »	4 „ . . .	4 „ 75 »
9 „ . . .	8 „ — »	3 „ . . .	3 „ 50 »
8 „ . . .	7 „ 25 »	2 „ . . .	2 „ 75 »
7 „ . . .	6 „ 50 »	1 „ . . .	1 „ 50 »

სამზღვარ-გარედ დაბარებული ეღირება—17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან.

ტფილისის გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

Тифлисъ. Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ.“

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისის გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი, სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თვის განმავლობაში დაიკვეთა ვინმე გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თთვის პირველ დღიდამ გაეგზავნება. განცხადებანი მიიღებიან გაზეთის რედაქციაში.

ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:

ა) მეოთხე გვერდზედ თითო ჭერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზედ, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები (კორესპონდენციები) რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, ანუ საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ დასაბეჭდი ხელ-ნაწერები, თუ ერთის თვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ვეღარ მოსთხოვენ.

არა-გვარს მიწერ-მოწერას არ დასაბეჭდთა ხელ-ნაწერების და წერილების შესახებ რედაქცია არა კისრულობს.

პირ-და-პირ მოლაპარაკებისთვის რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ-დღე კვირა-უქმების გარდა პირველ საათიდამ სამს საათამდე და საღამოობით 7-დამ 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: ახალ-ბებუთოვის ქუჩა, სახლი ზუბალოვისა, № 9.

Дозв. ценз. Тиф. 23 января, 1887 г. Типографія „Кавказское Обозрѣніе“ (Н. И. Френкель) Караван-Сарай Земельнаго Банка. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე